ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო კონკურსი, მე-4 რაუნდი

ხშირად დასმული კითხვები

1. შესაძლებელია თუ არა „ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო კონკურსში“ ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღონ კოალიციურად?

√ დიახ, შესაძლებელია, თუმცა ეს არც სავალდებულოა და არც უპირატესობის მინიჭების კრიტერიუმი.

2. სავალდებულოა თუ არა შევსებულ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად ვიდეოს გამოგზავნა?

√ არ არის სავალდებულო. ვიდეოგანაცხადი არის განაცხადის ალტერნატიული ფორმა, ის უნდა პასუხობდეს საგრანტო განაცხადის ფორმაში დასმულ კითხვებს (აღწერდეს პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს). სასურველია, რომ მასში წარმოდგენილი იყოს თემის წარმომადგენელთა მოსაზრებები. ვიდეოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს და ის YouTube-ზე უნდა იყოს ატვირთული.

3. რომელ ფორმატს მიენიჭება პრიორიტეტი წერილობით თუ ვიდეოს სახით წარდგენილ განაცხადებს?

√ განაცხადის წარდგენის რომელიმე ფორმას შეფასების პროცესში პრიორიტეტი არ მიენიჭება.

4. როდის არის ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა?

√ <u>2023 წლის 25 ოქტომბერი.</u> სასურველია, კითხვები დროულად გამოგზავნოთ, რომ მათზე პასუხების გაცემისთვის გვქონდეს საკმარისი დრო.

5. შესაძლებელია თუ არა ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღოს ახლადდაარსებულმა ორგანიზაციამ?

√ დიახ, შესაძლებელია. საგრანტო კონკურსი ამ მხრივ რაიმე შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

6. უპირატესობა მიენიჭებათ თუ არა რეგისტრირებულ ორგანიზაციებს?

√ საგრანტო კონკურსის ფარგლებში შეფასება არ ხდება იმის მიხედვით, რეგისტრირებულია თუ არა განმცხადებელი.

7. შესაძლებელია თუ არა ერთმა და იმავე განმცხადებელმა რამდენიმე განაცხადი წარადგინოს?

√ დიახ, შესაძლებელია.

8. შესაძლებელია თუ არა ერთმა და იმავე განმცხადებელმა მონაწილეობა მიიღოს USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მიერ გამოცხადებულ რამდენიმე კონკურსში?

√ დიახ, შესაძლებელია.

9. ენიჭება თუ არა ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო კონკურსის ფარგლებში რომელიმე რეგიონს პრიორიტეტი?

√ არა.

10. რამდენი გრანტი გაიცემა თითოეულ რეგიონში?

√ საგრანტო კომისია დაფინანსების გაცემის პროცესში რეგიონული განაწილების პრინციპით არ იხელმძღვანელებს. <u>გასაცემი გრანტების მაქსიმალური რაოდენობა არის 8 მთელი საქართველოს მასშტაბით.</u>

11. დასაშვებია თუ არა ბიუჯეტში ისეთი კატეგორიის ხარჯის გაწევა, რომელიც განაცხადზე თანდართულ ბიუჯეტის ფორმაში არ არის წარმოდგენილი?

√ დიახ. განაცხადზე თანდართული ბიუჯეტის ფორმა მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათისაა, შესაბამისად, მისი საჭიროებისამებრ მოდიფიცირება დაშვებულია.

12. დასაშვებია თუ არა პროექტის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ხარჯის გაწევა?

√ გააჩნია რა იგულისხმება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში და რამდენად მასშტაბურია შესასრულებელი სამუშაო. სამშენებლო ხარჯები არ დაფინანსდება.

13. დასაშვებია თუ არა პროექტის ბიუჯეტში სამშენებლო ხარჯის გაწერა?

√ არა, სამშენებლო ხარჯები ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო კონკურსის ფარგლებში არ დაფინანსდება.

14. ბიუჯეტის რა პროცენტს უნდა მოიცავდეს ადმინისტრაციული ხარჯები?

√ ბიუჯეტის პუნქტებს შორის ხარჯების განაწილების პროცენტული შეზღუდვა არ არსებობს, თუმცა, ხარჯები გონივრულად დაბალანსებული უნდა იყოს.

15. შესაძლებელია ბიუჯეტში მცირე გრანტების გაცემის კომპონენტის გათვალისწინება?

√ არა.

16. შესაძლებელია ბიუჯეტში ფულადი ჯილდოს კომპონენტის გათვალისწინება?

√ არა.

17. საინიციატივო ჯგუფის დაფინანსების სქემის შემთხვევაში ვინ ახორციელებს მოლაპარაკებებს საქონლისა და მომსახურების კონკრეტულ მომწოდებლებთან?

√ მოლაპარაკებებს აწარმოებს საინიციატივო ჯგუფი, ხოლო ხელშეკრულებებს აფორმებს USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა.

18. საინიციატივო ჯგუფის დაფინანსების შემთხვევაში როგორ იქნება მოგვარებული ფინანსური მენეჯმენტის საკითები?

√ საინიციატივო ჯგუფის დაფინანსების შემთხვევაში ყველა საჭირო შესყიდვას (თანხების გადარიცხვას ინვოისებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე) **USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა** განახორციელებს.

19. შესაძლებელია თუ არა პროექტის აქტივობებში არასრულწლოვანი მოხალისეების ჩართვა?

√ შესაძლებელია, მეურვის თანხმობის შემთხვევაში.

20. შესაძლებელია თუ არა პროექტის აქტივობებში სტაჟიორების ჩართვა?

√ შესაძლებელია, კანონმდებლობის შესაბამისი უფლებების უზრუნველყოფით.

21. შესაძლებელია თუ არა წარდგენილი პროექტის პარტნიორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (ს.ს.ი.პ) იყოს?

√ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ფორმალურ (რეგისტრირებულ) და არაფორმალურ (არარეგისტრირებულ) სამოქალაქო გაერთიანებებს.

22. რამდენად შესაძლებელია ინდივიდუალური მეწარმის დაფინანსება ინოვაციებისა და გამოწვევების საგრანტო კონკურსის ფარგლებში?

√ საგრანტო კონკურსის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობა არ დაფინანსდება.

23. განსხვავდება თუ არა საგრანტო დაფინანსების ზღვრები რეგისტრირებული ორგანიზაციებსა და მოქალაქეთა არარეგისტრირებული გაერთიანებების შემთხვევაში?

√ დიახ. რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის გასაცემი გრანტების ბიუჯეტი $10,000-დან $30,000-მდეა, ხოლო მოქალაქეთა არარეგისტრირებული გაერთიანებებისთვის გასაცემი გრანტების ბიუჯეტი - $1,000-დან $10,000-მდე.

24. განსხვავდება თუ არა პროექტის ვადები რეგისტრირებულ ორგანიზაციებსა და მოქალაქეთა არარეგისტრირებულ გაერთიანებების შემთხვევაში?

√ დიახ. რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის გასაცემი გრანტების ხანგრძლივობა 6-დან 12 თვემდეა, ხოლო მოქალაქეთა არარეგისტრირებული გაერთიანებებისთვის - 6 თვემდე.

25. შესაძლებელია თუ არა საპროექტო იდეა წარადგინოს ორგანიზაციამ, რომელსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფინანსური ბრუნვა არ ჰქონია?

√ დიახ, შესაძლებელია.

26. შესაძლებელია თუ არა განმცხადებელმა წარმოადგინოს პროექტის პერსონალის რეზიუმეები და სხვა დამატებითი დოკუმენტაცია?

√ დამატებითი დოკუმენტების მოწოდება საჭირო არ არის.

27. შესაძლებელია თუ არა პროექტი პოდკასტების დამზადებაზე იყოს ორიენტირებული?

√ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ პოდკასტის გაკეთება არ წარმოადგენს მთელ საპროექტო იდეას და აღწერილი აქტივობები მოქალაქეთა ჩართულობის გარკვეულ ფორმებს ითვალისწინებს.

28. შესაძლებელია თუ არა პროექტის ფარგლებში პოლიტიკური დებატების ორგანიზება?

√ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დებატებში ყველა პოლიტიკური პარტიის თანასწორობა იქნება დაცული. გასათვალისწინებელია რომ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამას აქვს მკაცრი პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის პოლიტიკა.

29. შესაძლებელია თუ არა ერთი პროექტის ფარგლებში საგრანტო დაფინასნების ორ ორგანიზაციაზე გაცემა?

√ საგრანტო განაცხადის კოალიციურად გაკეთების შემთხვევაში, თანხა პარტნიორთაგან ერთ-ერთ ორგანიზაციაზე გაიცემა. მოცემული საკითხი უშუალოდ გამარჯვებულ კანდიდატებთან კომუნიკაციის შედეგად გადაწყდება.

30. რომელია ის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელი იქნება სტანდარტული საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება და რა შემთხვევაში არ ფორმდება FAA?

√ მოცემული საგრანტო სქემის ფარგლებში შერჩეულ ორგანიზაციებთან ძირითადად FAA ტიპის საგრანტო ხელშეკრულება იდება. სტანდარტული საგრანტო ხელშეკრულების დადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად და ეს საკითხი მხოლოდ გამარჯვებულ ორგანიზაციებთან განიხილება. ამ გადაწყვეტილების საფუძველი, სხვასთან ერთად, შეიძლება იყოს: ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა, მმართველობის სისტემა და გრანტების მართვის გამოცდილება.